<u>კანონი საერთაშორისო დაცვის შესახებ, 2015 - განმარტება საერთაშორისო დაცვაზე განაცხადის კითხვარის (IPO 2) დაბრუნების საბოლოო ვადების შესახებ - გთხოვთ, დაჯირეთ ბმულს და წაიკითხეთ</u>

კანონი საერთაშორისო დაცვის შესახებ, 2015 ამოქმედდა 2016 წლის 31 დეკემბერს და უზრუნველყოფს ერთიანი პროცედურის შემოღებას, რომელიც იძლევა საერთაშორისო დაცვის ძიების (ლტოლვილის სტატუსის და დამატებითი დაცვის) და სხვა მიზეზით სახელმწიფოში დარჩენის ნებართვის შესწავლას და გადაწყვეტილების მიღებას ერთი თანმიმდევრული პროცესის მეშვეობით.

საერთაშორისო დაცვის ოფისისთვის ცნობილი გახდა, რომ არსებობს გაურკვევლობა საერთაშორისო დაცვაზე განაცხადის კითხვარის (IPO 2) დაბრუნების საბოლოო ვადის შესახებ, რომლებზეც გავლენა იქონიეს კანონის გარდამავალმა დებულებებმა და რომლებიც გადაეგზავნათ განმცხადებლებს ამ კვირეების განმავლობაში. ოფისმა უკვე მიწერა განმცხადებლებს და მათ იურიდიულ მრჩევლებს და შეატყობინა, რომ საერთაშორისო დაცვაზე განაცხადის კითხვარის (IPO 2) დაბრუნება უნდა მოხდეს <u>"თუ ეს შესაძლებელია,</u> **თანმხლები წერილის თარიღიდან არაუგვიანეს 20 სამუშაო დღეში".**

ეჭვების თავიდან ასაცილებლად, გაცნობებთ, რომ განმცხადებლებმა და მათმა იურიდიულმა მრჩევლებმა უნდა გაითვალისწინონ ის, რომ მითითებული დაბრუდების ვადა არის უბრალოდ ადმინისტრაციული ვადა იმისათვის რომ რაც შეიძლება დროულად იქნას ცალკეული განცხადება დამუშავებული. საერთაშორისო დაცვის ოფისი უზრუნველყოფს მოქნილობას, თუ საჭიროა დამატებითი დრო კითხვარის შესავსებად და იურიდიული რჩევის მისაღებად.

განმცხადებლებს აგრეთვე მოახსენეს, რომ თუ მათ ან მათ იურიდიულ წარმომადგენლებს სჭირდებათ დამატებითი ინფორმაციის წარდგენა საერთაშორისო დაცვის ოფისისთვის საერთაშორისო დაცვის შესახებ კითხვარის წარმოდგენის შემდეგ, ამის გაკეთება შესაძლებელია მათი გასაუბრების თარიღიდან/ინტერვიუდან არაუგვიანეს ორი კვირით ადრე. ეს დრო საჭიროა იმისთვის, რომ მოესწროს დოკუმენტების თარგმნა - თუ თარგმნა საჭიროა, რათა IPO-ს ინტერვიუერებს ინტერვიუს თარიღამდე ხელთ ჰქონდეთ ყველა დოკუმენტი და მოახერხონ მათი გათვალისწინება.

საერთასორისო დაცვის ოფისი იმედოვნებს, რომ ეს საინფორმაციო შეტყობინება საჭირო განმარტებას წარმოადგენს განმცხადებლებისთვის.

შეკითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით ჩვენს კლიენტების მომსახურების ცენტრს შემდეგ ელფოსტაზე: info@ipo.gov.ie ან ტელეფონზე: (01) 6028008